მეორე შეხვედრა – მეორე ფრე

18 ოქტომბერს, ამხანაგ ლ. პ. ბერიას სახელობის "დინამოს" სტადიონზე ჩატარებულმა მატჩმა საკავშირო პირველობაზე დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. ეს გასაგებიც იყო. ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა უძლიერესი კოლექტივი, სტალინგრადის **"ტრაქტორი"** სარევანშო შეხვედრას ატარებდა **თბილისის "დინამოსთან".**

სრულ 4 საათზე დაიწყო შეჯიბრება. "ტრაქტორის" თავდამსხმელებს ნახევარდამცველთა ენერგიული დახმარებით მწყობრი იერიშები მიაქვთ დინამოელთა კარზე. მეკარე ტყებუჩავა ჩაება თამაშში, მან პირველსავე წუთში მოიგერია 2 სახიფათო ბურთი. "დინამოს" თავდამსხმელები გადადიან კონტრშეტევაზე, მაგრამ მათ კარგ კომბინაციურ თამაშს აკლია მთავარი – ზუსტი დარტყმა კარში. ბერეჟნოიმ, ხარბედიამ და გავაშელმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, როცა ისინი 5–6 მეტრით დაშორებული იყვნენ კარიდან.

მე–17 წუთიდან უპირატესობა კვლავ სტალინგრადელების მხარეზეა. მათ თამაშში ერთი შეხედვითაც კი მოსჩანს არაჩვეულებრივი მონდომება, ტემპი და ბრძოლა ყოველგვარი მომენტისათვის. 39-ე წუთზე მეკარე ტყებუჩავამ დაუშვა ტაქტიკური შეცდომა. ამით ისარგებლეს სტუმრებმა და სრულიად მოულოდნელი ბურთი გაახვიეს დინამოელთა ბადეში. 1:0 "ტრაქტორის" სასარგებლოდ. ასეთი ანგარიშით დამთავრდა პირველი ტაიმი.

შეჯიბრების მეორე ნახევარი თბილისელთა უპირატესობით აღინიშნა. სტალინგრადელები გადავიდნენ დაცვაზე და ამავე დროს დაიწყეს უხეშობა. უხეშობისათვის მოედნიდან გააძევეს პონომარიოვი. თამაშის 31-ე წუთზე ბურთს 30 მეტრიდან იშვიათი სიძლიერით ურტყამს ჯორბენაძე და ანგარიშიც თანაბრდება. თამაშის ბოლო წუთებში "ტრაქტორის" კარი კიდევ აშკარა საფრთხეშია. 40-ე წუთზე გავაშელი მოხერხებულად აწვდის ბურთს ღია კარის წინ მდგომ ხარბედიას, მაგრამ უშედეგოდ.

ამრიგად "დინამოსა' და "ტრაქტორის" მეორე შეხვედრა სსრკ პირველობაზე კვლავ ფრედ (1:1) დამთავრდა.

ვ. ბ.
"ახალგაზრდა კომუნისტი", 20 ოქტომბერი, 1939 წ.